საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION
+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-1485
11/03/2025

1485-გ-2-202503111643

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

შპს ,,საქართველოს მელიორაციამ“ (შემდგომში კომპანია) განიხილა თქვენი 2025 წლის 25 თებერვლის N21/1423 წერილი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება შპს ,,აჭარა ენერჯი-2007“-ის მიერ სააგენტოში წარდგენილ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, 100 მგვტ სიმძლავრის ,,როდინაული 1“ და ,,როდინაული 2“-ის ქარის ელექტროსადგურების, 110 კვ ძაბვის ქვესადგურის და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების მოწოდებას.

გაცნობებთ, რომ სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული საპროექტო არეალში არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო არეალში მოქცეულია კომპანიის კაპიტალში რიცხული, რეგისტრირებული (ს/კ. 32.00.072) აჯამეთის სარწყავი სისტემის გამანაწილებელი არხები, რომლებსაც „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების სამშენებლო ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003წ. N19 ბრძანების შესაბამისად გააჩნიათ მუდმივი გასხვისების ზოლები.

აღნიშნული გამანაწილებელი არხებისთვის გასხვისების ზოლის სიგანე შეადგენს პირველი რიგის გამანაწილებლებისთვის არხის ბერმის კიდედან 6-6 მეტრს მის ორივე მხარეს, ხოლო მეორე რიგის გამანაწილებლებისთვის არხის ბერმის კიდედან 4-4 მეტრს მის ორივე მხარეს.

კომპანიას აუცილებელ პირობად მიაჩნია, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას დაცული იქნეს შემდეგი ტექნიკური პირობები:

- მიწისქვეშა კაბელი მოეწყოს ხაზოვანი ნაგებობის გასხვისების ზოლის გარე პერიმეტრზე;
- ელ. გადამცემი კაბელით მიწისქვეშა გადაკვეთის ადგილზე, ელ. გადამცემი ხაზის ჩაღრმავება უნდა მოეწყოს ხაზოვანი ნაგებობის გასხვისების ზოლის მთელ პერიმეტრზე, არანაკლებ 1 მეტრის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. ამასთან, მიწისქვეშა გადაკვეთის კვანძში, მანძილი არხის ძირის საპროექტო ნიშნულიდან ელ.გადამცემი კაბელის ზედაპირამდე უნდა იყოს არანაკლებ 1 მეტრის ჩაღრმავებით;
- ელ. გადამცემი კაბელი ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის და გასხვისების ზოლის მთელ სიგრძეზე მოთავსებული უნდა იქნეს ფოლადის გარსაცმში;

- არხის გადაკვეთის კვანძში, გასხვისების ზოლის კიდეზე, ნაგებობის ორივე მხარეს უნდა მოეწყოს მანიშნებელი ბოძკინტები;
- ქარის ტურბინების და ელ. გადამცემი ხაზის მშენებლობა უნდა განხორციელდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის და მისი საექსპლუატაციო გზის დაუზიანებლად. მათი დაზიანების შემთხვევაში მშენებელმა კომპანიამ უნდა მოახდინოს დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა საპროექტო პარამეტრების დაცვით.
- ქარის ტურბინების საძირკვლების მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამელიორაციო ინფრასტრუქტურის გასხვისების ზოლის პარამეტრები.

სამუშაოების განხორციელებისას საკონტაქტო პირი იქნება ყვირილა-ცხენისწყლის სერვის ცენტრის უფროსი დისიონ ლომთაძე (ტელ: 577 08 01 30)

თან ერთვის ძალოვანი კაბელით არხის მიწისქვეშა გადაკვეთის ტიპიური სქემა და სიტუაციური სქემა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ელ.გადამცემი კაბელით კვეთის წერტილების მითითებით.

პატივისცემით,

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი

https://edocument.ge/mea/public/#/1485-გ-2-202503111643